მიწის ნაკვეთზე,- საკადასტრო კოდით: №. 01.11.19.003.087;

მისამართზე,- ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა №. 14

ფართობი: 827.00 კვ.მ.

მესაკუთრე: სააქციო საზოგადოება „აკორდი“ (ს/კ 209477298)

გასაშენებელი მერქნიან მცენარეთა ნარგაობის

დ ე ნ დ რ ო პ რ ო ე ქ ტ ი

საკადასტრო ნაკვეთის ფართობია 827.00 კვ.მ.; გამწვანების კოეფიციენტი K3 ასახული ფართობში წარმოადგენს კ3=86.00 კვ.მეტრს.

საპროექტო ობიექტი საწარმოო დანიშნულებისაა და მნიშვნელოვანია წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდეს დენდროპროექტის შემუშავება, ისე რომ მწვანე ნარგაობის განვითარებამ არ შექმნას წარმოებისათვის ხელშემშლელი პირობები, ასევე მცენარეების ჯანსაღი ზრდა-განვითარებისათვის იყოს უზრუნველყოფილი შესაფერისი პირობები.

დაგეგმილი ავტოსამრეცხაოს სპეციფიკიდან გამომდინარე (ზედაპირული ხელოვნური საფარის სიჭარბე, წყლისა და სარეცხი საშუალებების მოჭარბებული ნაკადები და სხვ.), მერქნიანი მცენარეების გაშენებისათვის შეირჩა ობიექტის გარე პერიმეტრზე,-სამხრეთ საკადასტრო საზღვართან ფართი, რომელზეც არსებული ხეების მწკრივში, შემოღობვის გასწვრივ დაირგვება 4 ერთეული შერჩეული სახეობის ხის ნერგი. ხეების ამგვარი განლაგება, ერთის მხრივ მოახდენს საწარმოო სივრცის საზოგადოებრივი სივრცისაგან ვიზუალურ და აუდიო იზოლაციას (სქრინინგს) და ამასთანავე ნერგებს აცილებული ექნება ჭარბი დატბორვა და სხვა სახის (მექანიკური თუ ქიმიური) არასასურველი ზემოქმედება.

გამწვანების კოეფიციენტის ასათვისებლად წარმოგიდგენთ 4 ძირ, ქ. თბილისის მერიის მიერ რეკომენდირებული სიიდან შერჩეულ, დიდტანიანი ხის-მინდვრის ნეკერჩხლის (Acer campestre) სახეობის ნერგების გაშენების განზრახულებას. ეს რაოდენობა აკმაყოფილებს კ3-ის 100 კვ.მ. -ის ათვისებას (4X25=100 კვ. მ) და მეტობით უზრუნველყოფს მოთხოვნილი კ3=86.00 კვ.მეტრის ვალდებულებას.

ჩვენს მიერ შერჩეული ფოთოლმცვენი ხის სახეობა, რომელიც აბორიგენულია და კარგად ეგუება თბილისის კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებს. ნერგები უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მ.-ის სიმაღლისა და არანაკლებ 20 სმ. ძროს გარშემოწერილობით.

ქვემოთ მოყვანილია ხეების განლაგების სქემა:



შენიშვნა: სქემაზე გარდა დასარგავი ხეებისა, დატანილია არსებული თუთის ორი ხეც.

გასაშენებელი ნერგების მახასიათებლები

1. მინდვრის ნეკერცხალი - Acer campestre





მინდვრის ნეკერჩხალი ფოთოლმცვენი ხეა საპინდუსისებრთა (f. Sapindaceae) ოჯახიდან , გეოგრაფიულად გავრცელებულია ევროპასა და დასავლეთ აზიაში (მათ შორის საქართველოში). კლიმატური ზონა: 5-8.

ოვალური ან განფენილი ფორმის ვარჯით; სიმაღლით აღწევს 20 მ.-ს. განფენილობა 15 მ.-დე.

ყვავილობა- აპრილი,მაისი. მზიან ან ნახევრად დაჩრდილულ პოზიციებზე. წყლის მიმართ საშუალო მოთხოვნისაა, გარკვეული გვალვაგამძლეობით. ნიადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნია, კარგად დრენირებად, საშუალო ნოყიერების ნიადაგით, იტანს მძიმე, თიხნარ ნიადაგებსაც. კარგად იტანს ჰაერის დამტვერიანებას. მოვლა-პატრონობის დაბალი მოთხოვნილებით. ფოთლები ხუთნაკვთიანია, მომრგვალებული დაკბილვით, მუქი მწვანე, აბრეშუმისებრ მბზინავი ზედაპირით; შემოდგომაზე მიმზიდველი ყვითელ-ოქროსფერი შეფერილობით, ძალზე დეკორატიულია; თაფლოვანია. კარგად ეგუება თბილისისა და მისი შემოგარენის პირობებს, ფართოდაა დანერგილი გამწვანებაში.

ზოგადად ტოლერანტულია ქალაქის პირობებისადმი. გამოიყენება სქრინინგის, დაჩრდილვის, ქუჩის ნარგაობად და ასევე ფართოდ გამოიყენება თბილისის გამწვანებაში.

ნაკვეთზე ირგვება სულ 4 ერთეული მინდვრის ნეკერცხლის ნერგი.

დასარგავი ნერგები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:
სიმაღლე- არანაკლებ H-3,5 მეტრისა;
ღეროს გარშემოწერილობა არანაკლებ-Ø-20 სმ.

ნერგები სასურველია იყოს დახურული ფესვთა სისტემით, თუმცა ვეგეტაციური სვენების პერიოდში, შესაძლოა ფესვთა ღია სისტემით დარგვაც. დარგვა უმჯობესია განხორციელდეს ვეგეტაციური სვენების პერიოდში: ადრე გაზაფხულზე-კვირტების გახსნამდე, ან გვიან შემოდგომაზე- ფოთოლცვენის შემდგომ, თუმცა დახურული ფესვთა სისტემით (,კონტეინერში გამოზრდილი ან მიწის კომით შეფუთული), შესაძლებელია დაირგოს ასევე ვეგეტაციის პერიოდშიც.

დარგვის წესები

დარგვა ხორციელდება აგროტექნიკური წესების სრული დაცვით. წინასწარ მზადდება დასარგავი ორმოები, რომელთა სიღრმე იქნება არანაკლებ 80 სმ.; ორმოს დიამეტრი -არანაკლებ 1 მეტრი.

ამოღებული მიწა განთავსდება სეპარატულად,- ნიადაგის ფენა ცალკე, ნიადაგქვეშა ცალკე. დარგვისას ნიადაგის ფენა ჩაიყრება ქვედა ნაწილში, ე.წ.კონუსის ფორმით რომელზედაც „დაისმება“ ნერგი (ნერგის დაფლობა საკუთარი სიმძიმით (კომიანი), ან მსუბუქი დაწოლით, ისე რომ ფესვები ბუნებრივ განშლაზე დარჩეს (უკომო)) და თანდათანობით შეივსება ჯერ ნოყიერი ფენით, ბოლოს სიღრმიდან ამოღებული, ნაკლებნოყიერი ფენით.

ნიადაგის არასაკმაო ხარისხის შემთხვევაში, საჭიროა მისი ნოყიერი ნიადაგით ჩანაცვლება.

დარგვასთან ერთად ხდება ნერგის ფიქსირება შერჩეული მეთოდით,-ან ჭიგოზე მიბმით, ან პალოებზე (არანაკლებ 3 მხარეს) დაბმით. ფიქსირებისათვის გამოიყენება შესაფერისი სტანდარტების ჭიგოები, საბმელი და დამცავი ფენის მასალა.

ნარგაობის დარგვის შემდგომ ხდება ინტენსიური მორწყვა და საჭიროებისამებრ ნიადაგის შევსება ჯამების ფორმირებით.

დარგვის ვადები და მოვლის პასუხისმგებლობა

დარგვები განხორციელდება მშენებლობის დასრულების შემდგომ არასავეგეტაციო პერიოდში,- 2022 წლის შემოდგომაზე, ან 2023 წლის გაზაფხულზე. (დამოკიდებულია მშენებლობის დასრულების თარიღზე).

ნერგების მოვლაზე პასუხისმგებელი პირია: ეთერ ქუბრიაშვილი (პ/ნ: 01002019720)

დარგვიდან 3 წლის გასვლის შემდგომ მოხდება ნერგების დამკვიდრების დადასტურება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. ნერგის გახმობის ან დაზიანების შემთხვევაში მოხდება მისი ჩანაცვლება, რომლის დამკვიდრებულად მიჩნევის ვადა ასევე დარგვიდან 3 წელი ჩაითვლება

10.03.2022

მერქნიან მცენარეთა
ხარისხობრივი შეფასების
დამოუკიდებელი ექსპერტი,
ბოტანიკოსი

გრიგოლ დეისაძე-

დედროლოგიური პროექტი
საინფორმაციო დაფა

საპროექტო ტერიტორია: ქ.თბილისი, ფეიქრების ქუჩა №14
მიწის ს.კ/კ 01.11.19.003.087 არასასოფლო სამეურნეო ფართობი - 827მ²

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
გარემოს დაცვის სამსახური;

დენდროლოგიური პროექტის შეტანხმების თარიღი 2022 წელი
დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი 2023 წელი

გასამწვანებელი ფართობი 297,63მ²
გამწვანების ფართობი - 86მ²

დასარგავია: დასარგავია სულ ხე-მცენარე მათ შორის

1. მინდვრის ნეკერცხალი - Acer campestre - 4 ძირი

ხე-მცენარეების სიმაღლე 3.5 მ, დაშორება 4მ ღეროს
გარშემოწერილობა 20სმ

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა ზეპასუხისმგებელი
პირი: ეთერ ქუბრიაშვილი(პ/ნ: 01002019720)

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა 3 წელი

